საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4068/01
23/04/2021

4068-01-2-202104231556

შპს ,,გეო + ეკო სერვისს“
მის: ქ. თბილისი, ნაკადულის I შეს. სახ. №6, ბ. №30

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 14 აპრილის განცხადება N6580, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (108 997 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი)) ღია კარიერული წესით მოპოვებას და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი პროექტი ეხება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას, შესაბამისად გაუგებარია და დაზუსტებას საჭიროებს სკოპინგის ანგარიშში სხვადასხვა კონტექსტში მითითებული ტერმინი - ,,საწარმო“. სკოპინგის ანგარიშში (5. პროექტის გზშ-ს მეთოდოლოგია და მიდგომა) ბუნდოვანია გზშ-ის ანგარიშის მოსამზადებლად გამოსაყენებელი დოკუმენტაციის ნუსხა, მათ შორის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ დებულება;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ,,კომპანიამ წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზია და გამომდინარე სამთო მინაკუთვნი შეიძინა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონზე ამდენად საწარმოს განთავსების ადგილის ალტერნატივების განხილვა არ მოხდება”. გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ,,ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ნულოვანია”. აღსანიშნავია, რომ სალიცენზიო ფართობზე წიაღის მოპოვებითი სამუშაოების დროს ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში არაორგანიზებულ გაფრქვევებს, როგორც მტვრის, ისე ობიექტზე მომუშავე ტექნიკიდან გამონაბოლქვი

აირების სახით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება საჭიროებს დაზუსტებას;

- სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურის გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია;

- დაზუსტებას საჭიროებს ზემოქმედების შეფასება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე, ასევე მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ,,სამუშაოები, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს გრუნტსა და შესაბამისად გრუნტის წყლების ხარისხზე (მაგ. მიწის სამუშაოებმა), გათვალისწინებელი არ არის“. აღნიშნული ინფორმაცია დასაზუსტებელია, ვინაიდან სალიცენზიო ფართობის დამუშავება გათვალისწინებულია ექსკავატორის და ბულდოზერის საშუალებით. სალიცენზიო მიწის ნაკვეთის სტატუსის (სასოფლო-სამეურნეო) გათვალისწინებით სკოპინგის ანგარიშში სათანადოდ უნდა იყოს შეფასებული ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” II დანართის პირველი პუნქტის 1.1 ქვეპუნქტის მიხედვით, 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ექვემდებარება კოდექსით დადგენილ პროცედურას.

- დაზუსტებას საჭიროებს ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის. სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულთან დაკავშირებით ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შრომის უსაფრთხოების ნაწილზე და არა გარემოსდაცვით საკითხებზე;

- დაზუსტებას საჭიროებს ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ფუჭი ქანების სავარაუდო მოცულობის და სათანადო პირობების დაცვით დასაწყობების (ადგილის მითითებით (GPS)), შესახებ ინფორმაცია;

- დაზუსტებას საჭიროებს მოპოვებული ნედლეულის სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, ტრანსპორტირების მარშრუტების, დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების (მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოძრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა) შესახებ;

- სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ საბადოს დამუშავების გეგმას (მათ შორის, რეკულტივაციის პროექტს);

- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ჩასატარებელი საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების/საკითხების გათვალისწინებით გადამუშავებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე